სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის 2022 წლის ანგარიში

ანგარიშის თემატიკა:

1. მოტივირებული და ინფორმირებული აპლიკანტების მოზიდვის მიზნით PR აქტივობების განხორციელება;
2. მასტერკლასების ორგანიზება პროგრამების მიხედვით;
3. ზრდასრულთა მოკლევადიანი სასერთიფიკატო სასწავლო კურსების რეალიზაცია;
4. მიღება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე;
5. სასწავლო პროგრამების კორექტირება; ცვლილებების ინიცირება;
6. 2022 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები;
7. პროგრამების შესაბამისად ტექნიკური რესურსის გადაიარაღება;
8. კოლეჯის ახალი შენობის მშენებლობა;
9. დამსაქმებელთა საბჭოს ფორმირება და შეხვედრების ორგანიზება;
10. ვებ-გვერდის ადაპტირება კოლეჯის მიმდინარე და დაგეგმილ ამოცანებთან;
11. ლექცია პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა უფლებების თაობაზე;
12. ჯილდო.

1. მოტივირებული და ინფორმირებული აპლიკანტების მოზიდვის მიზნით PR აქტივობების განხორციელება

2022 წლის პროფესიულ პროგრამებზე მიღების PR კამპანიის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები თბილისის, რუსთავისა და მცხეთის საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან, ჯამში აპრილსა და მაისის თვეში პრეზენტაცია ჩატარდა 29 საჯარო სკოლაში.

შეხვედრების მიზანი იყო მოსწავლეებისთვის პროფესიული პროგრამების გაცნობა, დეტალური ინფორმაციის მიწოდება კოლეჯში სასწავლო პროცესის, რეგისტრაციის პირობებისა და პერსპექტივების შესახებ.

კოლეჯის პარტნიორ ჯერმანთაუნის უმაღლეს სკოლასთან ერთად განხორციელდა ქართულ-ამერიკული პროექტი An ocean apart, world together-our questions answered. პროექტში ჩართული იყვნენ კოლეჯის პარტნიორი "ევროპული სკოლის" მოსწავლეები, პროექტის მიზანი იყო სკოლის მოსწავლეების პროფესიული ორიენტაცია.

კოლეჯის სოციალურ ქსელში განთავსდა პოსტერები პროფესიული პროგრამების შესახებ. ასევე, თითოეულ პროგრამაზე წამყავნი პედაგოგების პოსტერები გაზიარებული იქნა ფეისბუქსა და ინსტაგრამაზე აპლიკანტების მოზიდვის მიზნით. პროფესიული უნარების სააგენტოს ინიციტავით მომზადდa ვიდეო ფაილები, რომელშიც კოლეჯის წარმატებული კურსდამთავრებულები საუბრობენ

პროფესიული განათლების უპირატესობასა და კოლეჯში მიღებულ გამოცდილებაზე. ჩატარდა ონლაინ ვებინარი აპლიკნატებისთვის - მიწოდებული იქნა ინფორმაცია პროფესიული პროგრამების, სასწავლოს პროცესის და აპლიკანტთა შერჩევის წესის შესახებ. სტუნდეტურ კლუბში „პარაშუტი“ მომზადდა სიუჟეტი, რომელშიც ასახულია კოლეჯში სასწავლო და საწარმოო პროცესები.

2. **მასტერკლასების ორგანიზება პროგრამების მიხედვით**

26 მაისს, ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს კოლეჯის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თელავში, ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფოტო და ვიდეო გადაღებაში. პრაქტიკული მოდულის ფარგლებში ტელერეჟისურისა და საოპერატორო ხელოვნების პროგრამის სტუდენტებმა მრავალკამერიანი მოძრავი სატელევიზიო სისტემით გადაიღეს 26 მაისისადმი მიძღვნილი მუსიკალური კონცერტი, რეპორტიორებმა და წამყვანებმა მოამზადეს თემატური სიუჟეტები და ჩაწერეს ინტერვიუები ადგილობრივ მოსახლეობასთან.

კოლეჯის პარტნიორმა „Kikala Studio“ ფოტოგრაფიის პროგრამის სტუდენტებისთვის გამართა ერთდღიანი ვორკშოპი. მასტერკლასი ჩაატარა დამფუძნებელმა მამუკა კიკალიშვილმა თემაზე: "სამოდელო ფოტოგრაფია".

ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების „ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების ხელშეწყობის“ კომპონენტის ფარგლებში კოლეჯმა მოიპოვა დაფინანსება ორი პროექტისთვის: GHS-TV AT GERMANTOWN HIGH SCHOOL-თან პარტნიორობით - „პროფესიაში შესვლის ეფექტური დაგეგმარებისთვის“ და „გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებელი შემეცნებით-ინფორმაციული ვიდეოფილმების შექმნა“.

სტუდენტებისთვის ჩატარდა შეხვედრები შახ აივაზოვთან და გურამ წიბახაშვილთან (ფოტოგრაფები), დავით ჩხიკვიშვილთან (საინფორმაციო სააგენტო როიტერის ვიდეო ოპერატორი), ირაკლი კაკაბაძესთან (სცენარისტი და ტელეწამყვანი).

კოლეჯის ფოტოგრაფიის პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის „არტარეას" საგამოფენო სივრცეში მოეწყო მათი სადიპლომო ნამუშევრების ერთკვირიანი გამოფენა.

3. **ზრდასრულთა მოკლევადიანი სასერთიფიკატო სასწავლო კურსების რეალიზაცია**

კოლეჯმა მიღება განახორციელა ორ მოკლევადიან პროფესიული მომზადების პროგრამებზე "ვიდეომემონტაჟე" (15 ადგილზე დარეგისტრირდა 95 აპლიკანტი, სწავლა დაასრულა-7-მა). და "ფოტოგრაფიის პრაქტიკული კურსი" (15 ადგილზე დარეგისტრირდა 150 აპლიკანტი, სწავლა დაასრულა- 10-მა).

4. მიღება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

2022 წლის მიღების ფარგლებში კოლეჯმა განახორციელა პროფესიული სტუდენტების მიღება 5 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე: ფოტოგრაფია, ტელერეჟისურა, ვიდეომონტაჟი, სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა, ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება. ქვემოთ მოცემულია სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ნათლად ასახავენ საზოგადოებრივ დაკვეთას კოლეჯის სასწავლო პროგრამებზე. საშუალო საკონკურსო მაჩვენებელმა გასულ წელს შეადგინა 19.47 ადამიანი ერთ საკონკურსო ადგილზე.

სტატისტიკა პროგრამების მიხედვით				
საგანმანათლებლო პროგრამა	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა	დარეგისტირებული სსსმ აპლიკანტები	ჩარიცხული სსსმ პირები
ფოტოგრაფია	27	502	10	4
სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა	7	161	0	0
ტელერეჟისურა	8	138	2	1
ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება	9	121	0	0
ვიდეომონტაჟი	7	213	0	0
ჯამი	59	1149	12	5

5. სასწავლო პროგრამების კორექტირება; ცვლილებების ინიცირება

მომზადდა ცვლილებების პაკეტი და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოში გაიგზავნა ორი ჩარჩო დოკუმენტი „ფოტოგრაფია“ და „რეპორტიორობა და წამყვანობა ჟურნალისტიკაში“. ამ ჩარჩო დოკუმენტებზე დაყრდნობით კოლეჯი ახორციელებს სამ

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. მიმდინარეობს მუშაობა ჩარჩო დოკუმენტის „აუდიო-ვიზუალური ხელოვნება“ ცვლილებების პაკეტზე.

6. 2022 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები

2022 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 1,114.232 ლარი; აქედან, სულ ხელფასებზე (მათ შორის საბიუჯეტო, სახელშეკრულებო და საათობრივი) დაიხარჯა 971,574 ლარი; კომუნალურმა ხარჯმა შეადგინა 16,027 ლარი, საოფისე ხარჯმა 51,536 ლარი, კაპიტალურმა ხარჯმა 75,094 ლარი. ბიუჯეტი დაიხარჯა მიზნობრივად და სრულად. აუთვისებელმა ნაშთმა შეადგინა მხოლოდ 225.31 ლარი, რომელიც განკუთვნილი იყო PR აქტივობებისთვის. გაუთვალისწინებელი ხარჯი კოლეჯს არ განუხორციელებია.

7. პროგრამების შესაბამისად ტექნიკური რესურსის გადაიარაღება

2022 წელი ძირითადად მიეძღვნა ფოტოგრაფიის მიმართულებით არსებული ტექნიკური რესურსის გადაიარაღებას. შესაბამისი პროცედურების დაცვით კოლეჯმა შეიძინა CANON 2021 წლის მოდელის 16 ფოტოკამერა, ცვლად და სტატიკურ ფოკუსურმანძილიანი ობიექტივები, ობიექტივის ადაპტერები და დიდი ტევადობის მეხსიერების ბარათები.

8. კოლეჯის ახალი შენობის მშენებლობა

კოლეჯის შენობის საპროექტო ღირებულებამ 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით შეადგინა 22 მილიონი ლარი. ფინანსთა სამინისტროს რეკომენდაციით პროექტში განხორციელდა ცვლილებები და განმეორებით გამოცხადდა ფასთა კვლევა.

9. დამსაქმებელთა საბჭოს ფორმირება და შეხვედრების ორგანიზება

2022 წელს ძირითადი ყურადღება დაეთმო საზოგადოებრივ მაუწყებელთან, როგორც ქვეყანაში ერთადერთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ ორგანიზაციასთან, როგორც გენერალურ პარტნიორთან გრძელვადიანი თანამშრომლობის საკითხების განხილვას და შესაბამისი მემორანდუმის გაფორმებას. 2022 წლის ნოემბერში მემორანდუმი გაფორმდა, რაც საშუალებას გვაძლევს 2023 წელი დავუთმოთ სხვა დამსაქმებლების თანამონაწილეობით საბჭოს ფორმირებას და წლის სამუშაო გეგმის შემუშავებას.

10. ვებ-გვერდის ადაპტირება კოლეჯის მიმდინარე და დაგეგმილ ამოცანებთან

განახლდა კოლეჯის ვებ-გვერდის სტრუქტურა და ვიზუალური მხარე. სრულად იქნა გათვალისწინებულ ადმინისტრაციისა და დეპარტამენტების ინტერესები და მოსაზრებები. ჩატარდა ბაზრის კვლევა ბიბლიოთეკის მართვის/ელექტრონული კატალოგის („OPEN BIBLIO“) დანერგვის მიზნით. წელს გათვალისწინებულია შესაბამისი მომსახურეობის შესყიდვის განხორციელება. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) ჩართულობით გადავწყვიტეთ კოლეჯის ადმინისტრაციული ერთეულებისთვის ელ.ფოსტის შექმნის პროცესი.

11. ლექცია პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა უფლებების თაობაზე

ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები კოლეჯის სტუდენტებისა და მოკლევადიანი პროგრამების მსმენელებისთვის მოქმედი რეგულაციების, შეფასების სისტემისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების გაცნობის მიზნით.

12. ჯილდო

2022 წელს კოლეჯი დასახელდა პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს ორ ნომინაციაში. გამარჯვებულის სტატუსი კი მიენიჭა ნომინაციაში „2022 წლის საიმიჯო კამპანია“.